ოქმი:**ო08. 3724212001**

თარიღი:**30/07/2024**

ოქმი № 12

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა,

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების

კომისიის სხდომის

2024 წელი, 30 ივლისი
ქ.ოზურგეთი
12.00 -13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ბ. კილაძე, თ. ტუღუში, დ. დარჩია, ლ. ბიგვავა, გ. ჩავლეშვილი, ალ. ბურჭულაძე, პ. სალუქვაძე.
სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების

პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.46.160) მდებარე 2769 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 31 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში გამსახურდიას მოედანზე (ს.კ. 26.26.47.162 პარკის მიმდებარე ტერიტორია) მდებარე 7586 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 12.8 კვ.მ. და

ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქუჩაზე (ს.კ. 26.26.47.337 ტროტუარი) მდებარე 686 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 51.81 კვ.მ.არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების, სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში ვიქტორ დოლიძის ქუჩაზე (რკინიგზის სადგურის მიმდებარე) მდებარე 87 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 26.26.46.065) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე
თანამომხსენებელი: თამარ ბაქანიძე

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიაწოდა მოკლე ინფორმაცია, სრული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ესაა პოლიეთილენის ბოთლები და თავსახურები, რომლის რეალიზაციას და ბიუჯეტში თანხის მობილიზებას მოახდენს მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული ა(ა).ი.პ, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით. კომისიის წევრებმა ასევე მხარი დაუჭირეს ამავე საკითხზე საპრივატიზაციო გეგმის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა-დამტკიცებას.

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მესამე საკითხზე, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მიმართა ფიზიკურმა პირმა, რომელიც ითხოვდა 31კვ.მ. ფართის გადაცემას, წლიური საიჯარო ქირა განისაზღვრა 1200 ლარით. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე, რომელიც ასევე ეხებოდა ფიზიკური პირისათვის ფართის იჯარით გადაცემას, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ განაცხადა, რომ ფართი ფიზიკურ პირს გადაეცემა 5 წლიანი ვადით, წლიური საიჯარო ქირა იქნება 2000 ლარი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, მოკლედ ისაუბრა დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე, რომელიც იურიდიული პირისათვის იჯარით მიწის ნაკვეთის გადაცემას ეხებოდა, თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ განაცხადა, რომ ფართი შ.პ.ს. „ავტოტრანსს“ გადაეცემა 5 წლიანი ვადით პარკირებისათვის, წლიური საიჯარო ქირა იქნება 605 ლარი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, დ.ჭაკნელიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი, კონკრეტული ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა თ. ბაქანიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქვემო ნატანების საჯარო სკოლამ მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა განცხადებით სკოლისათვის გადაეცათ მუნიციპალურ ბალანსზე არსებული ფართი საკონფერენციო დარბაზის მოსაწყობად. მერიის მიერ წარმოდგენილ განკარგულების პროექტით გათვალისწინებული იყო სკოლისათვის ფართის საკონფერენციო დარბაზის მოსაწყობად გადაცემა, კომისიის წევრმა თ. ტუღუშმა ითხოვა შეეტანათ ცვლილება განკარგულებაში და ჩაეწერათ „საკონფერენციო დარბაზისა და კლუბის მოსაწყობად“, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტის არსებული სახით საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

გადაწყვიტეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილი ექვსივე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

დავით ჭაკნელიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი